ზ. ცხადაძე, ბ. ცხადაძე, ე. ყუფუნია-ცხადაძე

ქართული კრიზისი ანუ თვითგანადგურების ქართული ასპექტები

ზვიად ცხადაძე – სტუ-ს მაგისტრანტი
ბადრი ცხადაძე – სტუ-ს პროფესორი, სტუ-ს მთავარი სპეციალისტი
ეკა ყუფუნია-ცხადაძე – შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე სტრუქტურულმა ძვრებმა ეკონომიკასა და პოლიტიკაში ეკონომიკურ მეცნიერებას დიდი საზრუნავი გაუჩინა. პრიორიტეტული მდგომარეობა განიმტკიცა და თავისი როლი გამორჩეულად გაზარდა. ეს კი განაპირობა არა მხოლოდ იმან, რომ ყოველი ეკონომიკური სტრატეგია პოლიტიკაა, არამედ იმანაც, რომ ყოველი ეკონომიკური ღონისძიება ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებთან არის დაკავშირებული და მის იდეურ მრწამსს, მის შეხედულებებსაც ერთგვარად განსაზღვრავს.

თანამედროვე დამოუკიდებელ საქართველო, როგორც ძირძველი ქვეყანა, მაგრამ ახალფეხადგმული სახელმწიფო, არაერთი პრობლების წინაშე აღმოჩნდა – მათ შორის ვერ იქნა და ვერ დადგინდა, დარეგულირდა შიგა და გარე ეკონომიკური პოლიტიკა. ნებისმიერ ქვეყანას კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლა ყოველთვის უჭირს, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რაც ჩვენში ხდება, მარტოოდენ წინა და არსებული ხელისუფლების ბრალიც არ არის, არც მხოლოდ წინა ხელისუფლების დროინდელი პოლიტიკის ნაყოფი და არც ოდენ საბჭოური წესთწყობისა და ბოლშევიკური ცნობიერებისა, ჩვენი აზრით, მისი სათავე ქართველი კაცის გონით-აზროვნებით ყოფაშია საძიებელი. თუკი, ჩვენი უახლესი ისტორიის განმავლობაში, ქვეყანაში რამე კეთდებოდა, ეს „ნაცმაცუნა" მთავრობის დამსახურება გახლავთ, ასეთი აღმშენებლობა, ინოვაციური მოდგომა, ევრო-რეფორმისტული კურსი, ამ ოცი წლის მანძილზე, ქვეყანას არასოდეს ჰქონია.

და მაინც, დაისმის არამხოლოდ რიტორიკული კითხვა: რა გვჭირს ქართველებს? სადაა ჩვენი ეროვნული ყოფიერების კრიზისის სათავე?

სანამ უშუალოდ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, თანამედროვე ღატაკი საქართველოს ყოფას დავუბრუნდეთ. დამახინჯებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქართველი კაცის ცნობიერებამ დეგრადაცია და დეკულტურიზაცია განიცადა. უმუშევრობამ ძალზე გაამწვავა სოციალური გარემო, დაძაბა საზოგადოება, წარმოშვა უიმედობა და ნიჰილიზმი, სახელმწიფოებრივი და ოჯახური ძალადობა, სრულიად დაიკარგა სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ქვეყნის შენების განცდა; მაღალია მოსახლეობის მიგრაციის, დაბერების, სიკვდილიანობის მაჩვენებელი [1, 17-18]. უმუშევარმა, სამუშაოდაკარგულმა, უსამართლოდ სამსახურიდან გათავისუფლებული და შეურაცხყოფილი ადამიანის ფსიქიკამ მძიმე შედეგი გამოიღო. როგორც ცნობილია, „სამუშაოს დაკარგვა ფსიქიკური ტრამვაა, რომელიც თავისი მნიშვნელობით უახლოესი ადამიანის სიკვდილს ან დაპატიმრებას თუ ჩამორჩება" (**სამუელსონი**). ეს პრობლემა კიდევ უფრო მძაფრ და მწვავე ხასიათს იღებს საქართველოში მიმდინარე პროცესის – არსებული ეკონომიკური სტრუქტურების რღვევისა და ახალი სისტემის შექმნასთან დაკავშირებით, ცხადია, თავისი უარყოფითი შედეგი გამოიღო 2008 წლის აგვისტომ ომმაც [2, 7-8].

დღეს ეჭვი არავის ეპარება, რომ რეალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა უნდა მოხდეს თანდათანობით, ეკონომიკის განვითარების მიხედვით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება პრიორიტეტულ – ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს, ამაში კი პირველხარისხოვანი სპეციალისტის მომზადებაა საჭირო. დღეს კი, მიუხედავად ცალკეული წარმატებული ცდისა, წინ ვერ წავსულვართ. საილუსტრაციოდ, ჩვენ მხოლოდ ერთ ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

დღევანდელ ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი საქართველოში, ჩანს, ჯერჯერობით შეუქცევადია. ჯერ კიდევ 2008 წელს საფინანსო ინსტიტუტების კულუარებში არ გამორიცხავდნენ დოლარის კურსის ვარდნას – ლარს გაუტოლდებაო, იყო პროგნოზი [3]. ჟურნალ „გზა"-ს ფურცლებზე მაშინდელი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომი-

ტეტის წევრი ლადო პაპავა გვაფრთხილებდა: „საქართველოს მოსახლეობა ხუთი წლის შემდეგაც ვერ დააღწევს თავს სიღარიბეს. მისივე თქმით, „აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის მთავრობამ მშობლიური ქართული ენაც კი არ იცისო" [იქვე, გვ. 3]. ცნობილ ეკონომისტს და სახელმწიფო მოღვაწეს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს ასეთი ფაქტი: „სიღარიბის დაძლევის პროგრამაში" ვხვდებით სოციალური დახმარების ტიპს, რომელსაც ჰქვია **უმისამართო, „ბრტყელი" (!) დახმარების პრაქტიკა**, რაც პირდაპირი კალკია ინგლისურისა. გარდა ამისა, თუ პროგრამის ერთ თავს ჰქვია „ეროვნული კეთილდღეობა", მეორე თავის სათაურია „მოსახლეობის კეთილდღეობა". თითქოს ენობრივი ლაფსუსები ეკონომიკასთან არაფერ შუაშია, მაგრამ სინამდვილეში, სიღრმისეულად, სულ სხვაგვარადაა: დღევანდელმა „უმცირესობაში" მყოფმა „თინეიჯერმა" რეფორმატორებმა როგორც იციან მშობლიური ენა, ისე ერკვევიან „ეკონომიკურ კოლაფსსა" და მისგან თავდაღწევის გზების ძიებაში; ასეთია ჩვენი რეალობა და საკადრო პოლიტიკა. ჩვენ, სამწუხაროდ, უცხოური კანონებით და სხვა დირექტივებით ვცხოვრობთ, არადა ქართველობა და საქართველოს ეკონომიკა სრულიად სხვაგვარ მიდგომას ითხოვს. ჩვენი ეთნიკური ცნობიერების, აქედან გამომდინარე, ჩვენი ეკონომიკური ტრადიციებისა და ყოფის გათვალისწინების გარეშე კრიზისი ყოველთვის კრიზისად დარჩება.

სადღეისოდ ქვეყნის გამოუვალ „კრიზისულ კოლაფსში" ჩაგდება, ვფიქრობთ, მაინც დასაძლევია. ცნობილი ებრაული ანდაზა-აფორიზმი გვამცნობს: ***„გამოუვალ მდგომარეობაში არსებობს ორი გამოსავალი".*** მართალია, ჩვენ ებრაელები არა ვართ, მაგრამ გამოსავლის ძიება და პოვნა შესაძლებელია. თუკი ვეძიებთ, ვიპოვით კიდეც.

დაბოლოს პასუხი გავცეთ ზემოთ ჩვენ მიერ დასმულ კითხვას: რა გვჭირს ქართველებს? სადაა ჩვენი ეროვნული კრიზისის სათავე?

ჩვენი დაკვირვებით, ყოველივე უარყოფითი, რაც ქვეყნის აღმშენებლობას ხელს უშლის, შიდა და გარე გაფაქტორებთან ერთად, ქართველი კაცის ისტორიული ცნობიერება, აღმოსავლური დესპოტიზმი და ყალბად გაგებული დემოკრატიაა. როგორც ჩანს, დემოკრატია ჩვენთვის უცხო ხილია. მაშინ როცა პარლამენტი და მთავრობა, ოპოზიცია და ოფიციოზი ერთ მუშტად უნდა იყოს შეკრული, ისინი სახელმწიფო მართვის სადავეების ხელში ჩაგდების პროცესით გართულნი, დანასისხლად არიან გადამტერებულნი: ძალაუფლებისმოყვარეობა წარმოშობს ძალადობას, ძალადობა – უსამართლობას, უსამართლობა – სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ კრიზისს, საზოგადოებრივი კრიზისი – ეკონომიკის კრიზისს და საზოგადოების დეკულტურიზაციას, ეს უკანასკნელი – ენობრივ დეკულტურიზაციას [4], [5].

საუკუნეების მანძილზე „ჩასაფრების პოლიტიკა", „ურმის გადაბრუნების შემდეგ გზის დანახვა" და „უჩემოდვინიმღერეთობა" წითელ ხაზად გასდევს ქართველთა ცნობიერებას. მკვლევრები მასში უფრო უარყოფითს ხედავენ. ამ უკანასკნელი ფრაზეოლოგიური დატვირთვის მქონე სიტყვათშეხამებას დადებითად აფასებას ცნობილი მეცნიერი ზურაბ კიკნაძე. მისი აზრით, „ერთხელ ითქვა და დღემდე გაისმის მძიმე საყვედური და ქოქოლა „უჩემოდ ვინ იმღერეთა"-ს მთქმელთა მიმართ, მაგრამ არავინ დაფიქრებულა იმაზე, რომ ამ სიტყვებს შეიძლება ჰქონდეს დადებითი აზრი. მართლაც, რატომ უნდა მღეროდეს ვინმე სხვის გარეშე, მთელი – რომელიმე ნაწილის გარეშე? ამ სიტყვებში შეიძლება გავიგონოთ მთლიანობიდან გარიყულის სასოწარკვეთილი ხმა. შეიძლება არსებობდეს ლტოლვა გამოცალკევებისკენ, მაგრამ ეს არის მარტოდ დარჩენილის ლტოლვა, რომ დამოუკიდებლად მოაწყოს თავისი ცხოვრება, რათა გადარჩეს" [6, 7]. თითქოს მსჯელობა სწორია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასეცაა, მაგრამ რა მოგვიტანა ასეთმა „წაჯეჭუკუჯექობამ" (ილია ჭავჭავაძის ტერმინია), ყველასათვის ნათელია: ქვეყანაში ჯანსაღი ოპოზიცია არ არსებობს, ნიველირებულია, მთავრობა უფრო სხვა პრობლემებითაა დაკავებული, ხალხის ბედი ძირითადად ღმერთს აქვს მინდობილი. სუსტი გადაწყვეტილებებითა და უსამართლობის მქონე ქვეყანა ბევრს ვერაფერს მოიმკის, სიღატაკისა და უძლურების გარდა. თითქმის ყოველ სფეროში განუზომლად ირღვევა ადამიანის უფლებები, შრომის კანონი „მონათმფლობელურია", წესები და საქმიან-ფორმობრივი-ზედამხედველობითი ურიერთობები დრაკონტული. არ არსებობს (და თუ არსებობს თითქმის ყოველთვის ირღვევა) არავითარი კრიტერიუმი: კონკურსის მონაწილემ თუ ზედამხედველგამომცდელმა წინასწარ იცის, ვინ რა არის, ვის რა ეკუთვნის, ვინ ვის (ვერ) დაჯაბნის, ვის მიეცემა პრემია, ჯილდო.... ასეთია ჩვენი დემოკრატიული კონკურირებადი გარემო. ქართველთა თვითგანადგურებას და „ქვე-ქვე" უკუსვლას ბოლო არ უჩანს. ღირსსაცნობია, რომ ჩვენი სახელმწიფოს „შემდგარ-არშემდგარობაზე" უცხოელი ინტელექტუალებიც წუხან. მაგალითად, ცნობილი გერმანელი კულტუროლოგი **ფრანკ ტრემელი** ერთ-ერთ ინტერვიუში ქართველებს ასე გვაფრთხილებს: „სანამ ლიბერალური საზოგადოების ინტერესები არ გადაილახება, ქართველთა თვითგანადგურებას ბოლო არ ექნება" [7].

შეიძლება დავასკვნათ, ბოლშევიკურ მე-

თოდებთან ახალი ბოლშევიკური მეთოდებით შებრძოლება კარგს ვერაფერს მოგვიტანს. ამ მხრივ ჩვენი საზოგადოება სახელმწიფოსთან ერთად კონფლიქტურ, მოჯადოებულ წრეში იმყოფება, კრიზისიდან გამოსვლა ჩვენს ხელშია, ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენსავე ფსიქიკაში. საჭიროა ახალი სახელმწიფოებრივი ხედვა, საკუთრივ ქართული პროფესიონალი კადრების მოძიება-მოზიდვა ყოველგვარი პარტიული ნიშნის გარეშე, ქართული ეკონომიკური ბერკეტების მოძიება. უცხოეთის გამოცდილება ამ მხრივ თითქმის უძლურია (თუმცა მისი გამოცდილება და რჩევა ყოველმხრივ გასათვალისწინებელი).

შენიშვნა 1: ერთგვარ სასიამოვნო განცდად აღიქმება ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში ტექნოლოგიური სიახლეების მასობრივად დანერგვა. ვგულისხმობთ მსოფლიო ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ რევოლუციას, რომელმაც საზოგადოებების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ურთიერთობებში წამყვანი ადგილი დაიკავა. ამ რევოლუციით გამოწვეული ტრანსფორმაციები საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოზეც. სწრაფად იზრდება და ფართოვდება ინტერნეტკომუნიკაციები, ჩართულობა სოციალურ ქსლებში, რაც იმის საწინდარია, რომ ქართული საზოგადოება ღირსეულ ადგილს დაიკავებს თანამედროვე ღია, ინფორმაციულ სამყაროში [8, 96], თუმცა ეს „ეროვნულ" კრიზისს მაინც ვერ უშველის.

შენიშვნა 2: რამდენიმე წელია მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი ბობოქრობს, მას დასასრული არ უჩანს, პირიქით – იგი უფრო ღვივდება ვულკანივით და ძლიერდება – ევროზონის ქვეყნებს დიდ საფრთხეს უქმნის. სამწუხაროდ, საქართველო ამ ზონაში საერთოდ არაა და არც მოიაზრება. ქართული კრიზისი სრულიად განკერძოებით დგას. მართალია, 2012 წლის 1 ოქტომბერს, ეკონომიკური და საზოგადოებრივი კრიზისს სამკურნალოდ, ქვეყანას კოალიცია „ქართული ოცნება" მოევლინა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველას იმედს უსახავდა, მაგრამ პოლიტიკურ გაერთიანებაში ბევრი ძველი სახე აღმოჩნდა „ახალ ჩარჩოში" ჩასმული, ამომრჩეველმა ხმა უფრო ბიძინა ივანიშვილს მისცა და არა მის „მეოცნებე წევრებს". საით მივდივართ, კვლავ არავინ იცის... თვითგანადგურებული ქვეყანა კი შველას ითხოვს.

ამრიგად, ჩვენი დასკვნით, ქართული ეკონომიკური და საზოგადოებრივი კრიზისის ძირები და ამ კრიზისის გამომწვევი მიზეზები მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან მჭიდროდ არაა დაკავშირებული და გავლენას ნაკლებად ახდენს, მისი სათავე – „ქართული ხასიათი" ჩვენი დღევანდელი და წინარე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ყოფიერებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების თავისებურებასა და ეროვნულ-ისტორიულ ცნობიერებაშია საძიებელი. ჩვენი აზრით, ამას სახელმწიფოს მიერ სწავლულ კაცთაგან სპეციალური ეროვნული კომისიის შექმნა-მუშაობა თუ უშველის.

PS. ეს წერილი ძირითადად 2012 წელს დაიწერა, როცა „ნაციონალური მოძრაობა" პოლიტიკურ დათმობასაც და უკუ(ნ)სვლას არც ფიქრობდა. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, „ნაციონალური მოძრაობა" „ჭრელმა" კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ" შეცვალა. შეცვლით კი, სამწუხაროდ, სახარბიელოდ დიდი არაფერი შეცვლილა, რადგან არ იცვლება ქართველი ხელისუფალისა და პოლიტიკოსის აზროვნება, სააზროვნო სისტემა და მიდგომა. უბრალოდ, ერთს – აგრესიულს მეორე – ლმობიერი ჩაენაცვლა (ამაზე თვით პარტიათა სახელწოდებების ჩამოთვლაც კმარა: შდრ.: „ღვთისშვილთა კავშირი", „მოქალაქეთა კავშირი", „ნაციონალური მოძრაობა"...). რაც შეეხება დემოგრაფიულ ვითარებას, იგი კატასტროფულად უარესდება [8, 7-48].

გარდა ამისა, ეკონომიკა ვერ განვითარდება, თუ მას პოლიტიკური და ეკონომიკური ხელშემწყობი კანონმდებლობა და ბიზნესგარემო არ ექნება. ამ მხრივაც ქართული პარლამენტი (ძველი, წინამორბედი თუ ახლანდელი) ვერ ასახავს ქვეყნისა და საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებს. მეტიც, თვით ქართველი კაცის ცნობიერებაში ჯერ კიდევ მე-19 სუკუნის მეორე ნახევრიდან ეს ფრანგული სიტყვა (parlament) ირონიზებულ ტერმინად („სალაყბო ადგილი") იქცა [9].

PPS. ახლახანს საქართველოს საზოგადოებას „საქართველოს პარლამენტმა" (№14/9) აუწყა „საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ (12 ნოემბერი, 2013 წ.). ეს პროექტი კი „საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსს" შეიცავს, რომელიც დაწერილია ცუდი ქართულით (მაგ., იხ. კარი VII. მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანება", სადაც 74-ე გვერდზე (მუხლი 168) წერია: „ა) **გაერთიანების უფლებამოსილების განხორციელების ტერიტორიის განვითარების სტრატეგიის დამტკცება *და განხორციელება"*** (სტილი დაცულია, ავტ.). აქ 6 სიტყვა ნათესაობითი ბრუნვითაა წარმოდგენილი, ასეთ სიტყვათშეხამებას ვერსად (ვერც საკანონმდებლო წიგნში ან რომელიმე ქართველი მწერლის მხატვრულ ნაწრმოებში, საერთოდ, ქართულ ენაში) ვერ იპოვით. მაშასადამე, ჩვენი პარლმენტარები როგორც წერენ, ისე აზროვნებენ, ან პირი-

ქით: როგორც აზროვნებენ, ისე წერენ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 4 დეკემბერს დაგმო ამ „თვითმმართველობის" გამიზნულობა – მისი შეფასებით, ამ წესის შემოღებით მოხდება „საქართველოს სრული დაშლა და დაქუცმაცება". მართლაც, აიშლება მტერი თუ მტრადმოსული მოყვარე, თავს წამოყოფს რეგიონული ენები, სახელმწიფო ქართული ენა კი, ისედაც ეთნიკურ უმცირესობებში არა (ან ნაკლებ) ფუნქციონირებადი, გაქრება. სხვათა შორის, ამას წინათ, ამ პრობლემებზე საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიაშიც გამახვილდა ყურადღება (კერძოდ, მომხსენებელმა პროფ. მიხეილ ჯიბუტმა ის ბრძანა, რაც საქართველოს პატრიარქმა). პარლამენტარებს, კანონშემოქმედთ კეთილად ვურჩევთ, მოვუწოდებთ, რომ ჯერ საფუძვლიანად განისწავლონ თუნდაც საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ენობრივ-პოლიტიკურ „მავთულხლართებში" და შემდეგ იფიქრონ „დიდ პოლიტიკაზე" – საქართველოს შიგაპოლიტიკურ-თვითმმართველურ მოწყობაზე. მათ ამ მხრივ დავუსახელებთ ჩვენი კოლეგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ავთანდილ სონღულაშვილის წიგნს „ქართული ენა და ეროვნული უმცირესობა" [11], რომელშიც დოკუმენტურად წარმოჩენილია შიგა და გარეშე მტრების ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ვ. სულაბერიძე**, დეპოპულაცია და საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოება. ავტორეფერატი, თბ., 2004.

2. **ი. მესხია**, ომი და ეკონომიკა. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა", №5, 2008.

3. ინტერვიუ **ლ. პაპავასთან**. იხ. ჟურნალი „გზა", №3, 27.03.2008.

4. **ე. ყუფუნია-ცხადაძე, ბ. ცხადაძე**, კულტურული ენიდან ენობრივი დეკულტურიზაციისაკენ? **სტუ**'ს შრომები, თბ., 2010.

5. **ე. ყუფუნია-ცხადაძე, ბ. ცხადაძე** ენობრივი სიტუაცია და ლიტერატურული პროცესები XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის შუქზე. საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „*მსოფლიო წესრიგი და კავკასია*", **სტუ – საქართველო**, 2009 წლის 24 აპრილი (მოხსენება ქართულ და ინგლისურ ენებზე). იხ. კონფერენციის მასალები კრებულის სახით.

6. **ზ. კიკნაძე,** სად ვეძიოთ ქართველობის ფასეულობანი? თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №1, გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 2003.

7. **ფრ. ტრემელი,** „სანამ ლიბერალური საზოგადოების ინტერესები არ გადაილახება, ქართველთა თვითგანადგურებას ბოლო არ ექნება. presa. ge. file // Documents and Settings |User|Desktop|index.php.htm.

8. **ა. ბერძენიშვილი**, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია და მისი კულტურული შედეგები. კრებ.: პიროვნება. კულტურა. საზოგადოება (სოციალურ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები). ედუარდ კოდუას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის (23-24 ოქტომბერი, 2009 წ.) მასალები, თსუ, თბ., 2010.

8. **ლ. ჩიქავა**, დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და მისი გაღრმავების თავიდან აცილების ღონისძიებათა სისტემა. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტ. 11. თბ., 2013.

9. **ე. ყუფუნია-ცხადაძე, ბ. ცხადაძე**, პარლამენტის გააზრებისათვის ქართულ პუბლიცისტურ ტექსტებსა და მწერლობაში (სოციოლინგვისტური ანალიზი). საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მსოფლიო და კავკასია", თბ., სტუ, 2013 წლის მაისი.

10. „საქართველოს პარლამენტი" (№14/9) „საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ (12 ნოემბერი, 2013 წ.).

11. **ა. სონღულაშვილი**, ქართული ენა და ეროვნული უმცირესობა. გამომცემლობა „უნივერსალი". თბ., 2013.

ГРУЗИНСКИЙ КРИЗИС И САМОУНИЧТОЖЕНИЕ

З.Б.ЦХАДАДЗЕ - магистрант ГТУ,
Б.А. ЦХАДАДЗЕ - профессор ГТУ,
Э. КУПУНИА-ЦХАДАДЗЕ - асоц. профессор университета театра и кино им. Шота Руставели

В данной научной статье рассмотрены истоки грузинского экономического, общественного и социального кризиса, и причины, вызвавшие этот кризис. По заключению авторов, мировой экономический кризис не связан тесным образом с грузинским «национальным» кризисом и имеет меньшее влияние. Он скорее всего проистекает из нашего национально-государственного исторического характера (национального самосознания) и бытия.

GEORGIAN CRISIS AND SELF-DESTRUCTION

Z. TSKHADADZE - PhD of GTU,
B. TSKHADADZE - professor of GTU,
E. KUPHUNIA-TSKHADADZE - Asoc. professor of Shota Rustaveli university of theatre and cinema

In the present research article the sources of Georgian economic and social crisis, and its causes are considered. In the authors' view the world economic crisis is not closely connected with the Georgian "national" crisis and its impact is less significant. It rather originates from our national-state historical identity (nationality).